

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

7

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

8

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. არსებითი საადრიცხვო პოლიტიკა	11
4. მნიშვნელოვანი საადრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები	17
5. ამონაგები	18
6. რეალიზაციის თვითღირებულება.....	18
7. ადმინისტრაციული ხარჯები	18
8. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	18
9. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა.....	19
10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	19
11. მარაგები	19
12. ძირითადი საშუალებები	20
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
15. სესხები.....	21
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
17. პირობითი ვალდებულებები, ხარჯები და საოპერაციო რისკები	22
18. ფინანსური რისკის მართვა	22
19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება.....	25
20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

მმართველობის ანგარიშგება

27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იზი ჩარტერის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „იზი ჩარტერის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუდიტებული საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ხელმძღვანელობის ანგარიშში - მმართველობითი ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობითი ანგარიშგება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გააკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შვეისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდებულებს ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბელავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს ნექსია ჯორჯია (SARAS-F-550338)

28 მაისი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს „იზი ჩარტერი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	37,626,749	20,787,105
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(25,177,264)	(19,352,525)
საერთო მოგება		12,449,485	1,434,580
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,361,219)	(3,066,670)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	8	(518,968)	34,736
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	9	(164,282)	(249,734)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10	104,238	553,151
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(5,880)
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	1,968,644
მოგება დაბეგვარმდე		8,509,254	668,827
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		8,509,254	668,827
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		8,509,254	668,827

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 28 მაისს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი – რატი ძერია

ფინანსური სამსახურის უფროსი – ბესიკ ბენდელიანი

10-26 გვერდებზე მოცემული შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილია

შპს „იზი ჩარტერი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერთი დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	37,626,749	20,787,105
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(25,177,264)	(19,352,525)
საერთო მოგება		12,449,485	1,434,580
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,361,219)	(3,066,670)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	8	(518,968)	34,736
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	9	(164,282)	(249,734)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10	104,238	553,151
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(5,880)
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	1,968,644
მოგება დაბეგვარმდე		8,509,254	668,827
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		8,509,254	668,827
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		8,509,254	668,827

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 28 მაისს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი – რატი ძერია

ფინანსური სამსახურის უფროსი – ბესიკ ბენდელიანი

10-26 გვერდებზე მოცემული შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილია

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	32,747,735	29,941,072
სულ გრძელვადიანი აქტივები		32,747,735	29,941,072
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	683,848	156,607
საგადასახადო აქტივი		65,721	99,648
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	408,770	787,420
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	7,427,376	3,757,864
სულ მიმდინარე აქტივები		8,585,715	4,801,539
სულ აქტივები		41,333,450	34,742,611
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		34,471,854	25,962,600
სულ კაპიტალი		34,471,854	25,962,600
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	15	685,773	4,474,980
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		685,773	4,474,980
მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	15	3,204,075	3,304,365
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	2,971,748	1,000,666
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,175,823	4,305,031
სულ ვალდებულებები		6,861,596	8,780,011
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		41,333,450	34,742,611

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 28 მაისს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი – რატი ძერია

ფინანსური სამსახურის უფროსი – ბესიკ ბენდელიანი

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	32,747,735	29,941,072
სულ გრძელვადიანი აქტივები		32,747,735	29,941,072
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	683,848	156,607
საგადასახადო აქტივი		65,721	99,648
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	408,770	787,420
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	7,427,376	3,757,864
სულ მიმდინარე აქტივები		8,585,715	4,801,539
სულ აქტივები		41,333,450	34,742,611
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		34,471,854	25,962,600
სულ კაპიტალი		34,471,854	25,962,600
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	15	685,773	4,474,980
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		685,773	4,474,980
მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	15	3,204,075	3,304,365
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	2,971,748	1,000,666
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,175,823	4,305,031
სულ ვალდებულებები		6,861,596	8,780,011
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		41,333,450	34,742,611

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 28 მაისს ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი – რატი ძერია



ფინანსური სამსახურის უფროსი – ბესიკ ბენდელიანი

შპს „იზი ჩარტერი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	-	25,293,773	25,293,773
წლის მოგება	-	668,827	668,827
31 დეკემბერი 2023	-	25,962,600	25,962,600
წლის მოგება	-	8,509,254	8,509,254
31 დეკემბერი 2024	-	34,471,854	34,471,854

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 28 მაისს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი – რატი ძერია

ფინანსური სამსახურის უფროსი – ბესიკ ბენდელიანი


10-26 გვერდებზე მოცემული შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილია

შპს „იზი ჩარტერი“


საერთაშორისო კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	-	25,293,773	25,293,773
წლის მოგება	-	668,827	668,827
31 დეკემბერი 2023	-	25,962,600	25,962,600
წლის მოგება	-	8,509,254	8,509,254
31 დეკემბერი 2024	-	34,471,854	34,471,854

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 28 მაისს ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი – რატი ძერია



ფინანსური სამსახურის უფროსი – ბესიკ ბენდელიანი

10-26 გვერდებზე მოცემული შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილია

შპს „იზი ჩარტერი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფული		38,650,142	19,535,900
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(17,186,242)	(16,500,640)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული		(3,670,713)	(3,280,022)
საბანკო გარანტიების განთავსება		-	(12,049)
საბანკო გარანტიების დაბრუნება		-	12,049
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა		(1,190,000)	(945,516)
ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და დაბეგვრამდე		16,603,187	(1,190,278)
გადახდილი პროცენტები	15	(583,090)	(148,795)
მიღებული პროცენტები		64,122	183,531
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში		16,084,219	(1,155,542)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(8,583,696)	(32,041,076)
ძირითადი საშუალებების გასვლა		79,166	6,595,585
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(8,504,530)	(25,445,491)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		-	12,150,000
სესხების გადახდა	15	(4,088,590)	(4,314,818)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საფინანსო საქმიანობაში		(4,088,590)	7,835,182
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(კლება)		3,491,099	(18,765,851)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		3,757,864	22,841,220
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		178,413	(317,505)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		7,427,376	3,757,864

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 28 მაისს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი – რატი ძერია

ფინანსური სამსახურის უფროსი – ბესიკ ბენდელიანი

შპს „იზი ჩარტერი“


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისთვის


(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფული		38,650,142	19,535,900
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(17,186,242)	(16,500,640)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული		(3,670,713)	(3,280,022)
საბანკო გარანტიების განთავსება		-	(12,049)
საბანკო გარანტიების დაბრუნება		-	12,049
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა		(1,190,000)	(945,516)
ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და დაბეგვრამდე		16,603,187	(1,190,278)
გადახდილი პროცენტები	15	(583,090)	(148,795)
მიღებული პროცენტები		64,122	183,531
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში		16,084,219	(1,155,542)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(8,583,696)	(32,041,076)
ძირითადი საშუალებების გასვლა		79,166	6,595,585
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(8,504,530)	(25,445,491)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		-	12,150,000
სესხების გადახდა	15	(4,088,590)	(4,314,818)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საფინანსო საქმიანობაში		(4,088,590)	7,835,182
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(კლება)		3,491,099	(18,765,851)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		3,757,864	22,841,220
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		178,413	(317,505)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		7,427,376	3,757,864

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 28 მაისს ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი – რატი ძეგია



ფინანსური სამსახურის უფროსი – ბესიკ ბენდელიანი

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „იზი ჩარტერი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2020 წლის 15 იანვარს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით 405373171, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანიის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მისი დირექტორი: რატი ძერია.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტვირთების ავიატრანსპორტირება საქართველოს საზღვრებს გარეთ, საკუთარი თვითმფრინავის მეშვეობით. კომპანიამ 2021 წელს მოიპოვა ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სერტიფიკატი. ფრენები შეასრულა ძირითადად ევროპაში და ასევე რამდენიმე ფრენა განხორციელდა აზიისა და აფრიკის მიმართულებით. ძირითადად ოპერირებს საკუთარი ავიატრანსპორტით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ფრენები განხორციელდა მოკლევადიანი იჯარით აღებული თვითმფრინავის მეშვეობით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლამა გიგიტელაშვილი	15%	15%
კახაბერ გიგიტელაშვილი	15%	15%
შპს „იზი ჩარტერი“ (დედა კომპანია) (405123254)	70%	70%

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დედა კომპანიის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელები არიან: რატი ძერია (34.11 %), კონსტანტინე დავითიძე (28.65 %) და პაატა კვიფინაძე (13.64%), კახაბერ გიგიტელაშვილი (12.55%) და ლამა გიგიტელაშვილი (11.05 %).

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ფალიაშვილის 85. საჯარო რეესტრის მონაცემებით კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, საბურთალოს რაიონი, ტაშკენტის ქ., N23, ბ.18.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რაც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მიიღოს და დანერგოს შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდით, ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის მომგებიანობა და ძლიერი ფინანსური მდგომარეობა, ასევე მიმდინარე გეგმები.

კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობას და უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული დაშვებით.

კომპანიას გააჩნია დადებითი გაუნაწილებელი მოგება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს აღემატება 2,409,892 ლარით.

საპაერო გადაზიდვებზე ძალიან გაზრდილმა მოთხოვნამ შეამცირა მსოფლიოში გასაყიდი თვითმფრინავების რაოდენობა და გაზარდა მათი ფასი, თუმცა, კომპანიამ წარმატებით მოახერხა თვითმფრინავის შეძენა 2023 წელს და აქტიურად ეძებს მეორე საპაერო ხომალდს შესაძენად.

გახორციელდა რა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და კომპანიის ძლიერი ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით ხელმძღვანელობა დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ აღწერილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

3.1. ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას, წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2024	2023
1 USD/GEL	2.7208	2.6279
1 EUR/GEL	2.9440	2.8416

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია, თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად გამონაკლისისა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI), ნარჩენ ძირ თანხაზე აღნიშნული შეფასება მოიხსენიება, როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელმწიფოებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქტებზე. საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება მხედველად შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელმწიფოებო ვალდებულება;
- ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელმწიფოებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება, რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც სახელმწიფოებო პირობების განუყოფელი ნაწილია. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად: საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა და საკრედიტო რისკი, რომლისთვისაც მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი

მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელმწიფოებების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის, გაცემული სესხებისთვის და სახელმწიფოებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ("ECL") გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს. სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

საექვო ვალების დარეზერვებისთვის კომპანია ინდივიდუალურად შეისწავლის თითოეულ სავაჭრო მოთხოვნას და განიხილავს საექვო მოთხოვნების დარეზერვების საჭიროებას.

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატიულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გადაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

3.3. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადა, ისინი აღირიცხება ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები აღირიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ძირითადი

საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხულია დამოუკიდებლად და კაპიტალი იზრდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოიწერა. სხვა დანახარჯები

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვთა

ცვთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (თვე)	ნარჩენი ღირებულება/ ისტორიული ღირებულება
საჰაერო ტრანსპორტი	84	17%
თვითმფრინავის ძრავები	24 -- 36	0%
თვითმფრინავის აგრეგატები	12 -- 60	0%
საოფისე ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა	24 -- 60	0%
სატრანსპორტო საშუალებები	60 -- 120	12% -- 16 %
შენობა-ნაგებობები	120	0%
სხვა	24 -- 60	0% -- 1%

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

აქტივზე ცვთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასაზუსტო მიზნებისათვის. ცვთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად. ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.4. მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება ღირებულებით, ხოლო შემდგომ ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება მთლიანი შესყიდვის ღირებულებით, დამატებული მარაგების ამჟამინდელ ადგილზე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯი. მაგალითად, ტრანსპორტირების, იმპორტის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

3.5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები და ფულის ბანკში. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შეზღუდული ფული შედის ფულადი სახსრებისა და ფულის ეკვივალენტებში, ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომლებიც შეიზღუდება გაცვლის ან გამოყენების ვალდებულების შესასრულებლად, ანგარიშგების თარიღიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში, შედის სხვა გრძელვადიან აქტივებში. დეტალები მოცემულია მე-14 შენიშვნაში.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი: კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რომელიც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ღივიღენდები: ღივიღენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ღივიღენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში (შენიშვნა 21).

3.6. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე ღივიღენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

ღივიღენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც ღივიღენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება ღივიღენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა ღივიღენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

გამოცხადებულ და გადახდილ ღივიღენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

3.7. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი ფასდება მომხმარებელთან ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების საფუძველზე და გამორიცხავს მესამე მხარის სახელით შეგროვებულ თანხებს. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის პროდუქტზე ან მომსახურებაზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს.

კომპანიამ მიიღო ფასს 15 შემოსავლის აღიარების მიზნებისთვის. ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

როდესაც კომპანია მისი შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით წარმოადგენს რწმუნებულს, ამასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები მოგება ზარალის ანგარიშგებაში წარედგინება წმინდა შედეგით.

3.8. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3.9. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

4. მნიშვნელოვანი საადრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აფასებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად

განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ამონაგები

ავიაკომპანია „იზი ჩარტერს“ საკუთრებაში აქვს ერთი სატვირთო საჰაერო ხომალდი. თვითმფრინავით და ეკიპაჟით გაწეული მომსახურება საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობას და შემოსავლის ძირითად წყაროს.

	2024	2023
შემოსავალი საავიაციო მომსახურებიდან	36,319,823	20,094,536
შემოსავალი ჰენდლინგური მომსახურებიდან	-	348,326
სხვა შემოსავალი	1,306,926	344,243
სულ ამონაგები	37,626,749	20,787,105

6. რეალიზაციის თვითღირებულება

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	6,477,440	3,183,397
საწვავის ხარჯი	6,220,238	7,448,432
საჰაერო მომსახურების ხარჯი	4,193,617	1,784,298
რეისის დაზღვევის ხარჯი	3,689,963	1,657,624
შრომის ანაზღაურება	2,611,857	2,186,402
ჰენდლინგური მომსახურება	184,956	2,237,346
თვითმფრინავის იჯარა	-	48,268
სხვა	1,799,193	806,758
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	25,177,264	19,352,525

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	2,245,248	2,124,734
საგადასახადო ხარჯი	315,673	167,948
მივლინება	280,718	228,307
იჯარის ხარჯი	229,045	223,966
პროფესიული და საკონსულტაციო ხარჯი	88,852	78,582
ცვეთა და ამორტიზაცია	62,676	62,849
ბანკისა და სხვა საკომისიო ხარჯები	36,158	26,119
საკანცელარიო და საოფისე ხარჯები	19,985	14,235
კომუნიკაციის ხარჯი	18,097	20,580
ტრანსპორტირება და ავტოსატრანსპორტო უზრუნველყოფა	12,999	21,684
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები	6,445	521
სხვა	45,323	97,145
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	3,361,219	3,066,670

8. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

	2024	2023
პერიოდის საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხზე	(583,090)	(148,795)
საპროცენტო შემოსავალი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	64,122	183,531
სულ ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	(518,968)	34,736

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა

ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	17,546,227	10,608,068
ფული და ფულის ეკვივალენტები	17,479,506	10,465,536
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,715	10,413
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	57,006	76,282
სესხები	-	55,837
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	17,710,509	10,857,802
ფული და ფულის ეკვივალენტები	17,301,093	10,783,041
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	39,128	17,462
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	171,195	57,299
სესხი	199,093	-
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	(164,282)	(249,734)

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
სადაზღვევო კომპანიიდან მიღებული სარგებელი	102,393	473,340
დაზიანებული თვითმფრინავის ძრავის მარაგებში შეტანა	-	76,485
სხვა	1,845	3,326
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	104,238	553,151

11. მარაგები

	2024	2023
ჩარტერული რეისები	563,662	1,640
ნედლეული და მასალები	655	-
სხვადასხვა აგრეგატები და საპოხი მასალები	119,531	154,967
სულ მარაგები	683,848	156,607

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	თვითმფრინავის ძრავები	საჰაერო ტრანსპორტი	თვითმფრინავის აგრეგატები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა	შენობა-ნაგებობები	სხვა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	7,250,278	2,021,402	3,919,700	142,350	107,586	92,082	203,272	13,736,670
შემოსვლა	14,297,955	20,711,486	284,974	-	7,518	-	-	35,301,933
გასვლა	(12,457,699)	(2,021,402)	(3,782,285)	-	-	-	-	(18,261,386)
2023 წლის 31 დეკემბერი	9,090,534	20,711,486	422,389	142,350	115,104	92,082	203,272	30,777,217
შემოსვლა	-	-	9,314,142	-	10,008	-	22,629	9,346,779
გასვლა	-	-	(101,477)	-	-	-	-	(101,477)
2024 წლის 31 დეკემბერი	9,090,534	20,711,486	9,635,054	142,350	125,112	92,082	225,901	40,022,519
დაგროვილი ცვეთა								
2022 წლის 31 დეკემბერი	(7,086,469)	(1,414,968)	(2,515,929)	(29,476)	(41,052)	(16,167)	(174,019)	(11,278,080)
პერიოდის ცვეთა	(1,843,980)	(349,767)	(989,650)	(15,684)	(22,521)	(9,208)	(15,436)	(3,246,246)
გასვლა	8,835,782	1,671,402	3,180,997	-	-	-	-	13,688,181
2023 წლის 31 დეკემბერი	(94,667)	(93,333)	(324,582)	(45,160)	(63,573)	(25,375)	(189,455)	(836,145)
პერიოდის ცვეთა	(2,993,511)	(2,815,927)	(668,001)	(15,684)	(22,482)	(9,208)	(15,302)	(6,540,116)
გასვლა	-	-	101,477	-	-	-	-	101,477
2024 წლის 31 დეკემბერი	(3,088,178)	(2,909,260)	(891,107)	(60,844)	(86,055)	(34,583)	(204,757)	(7,274,784)
საბალანსო ღირებულება								
2023 წლის 31 დეკემბერი	8,995,867	20,618,153	97,807	97,190	51,531	66,707	13,817	29,941,072
2024 წლის 31 დეკემბერი	6,002,356	17,802,226	8,743,947	81,506	39,057	57,499	21,144	32,747,735

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებებ საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 434,955 ლარს, (2023 წლის 31 დეკემბერი - 402,476 ლარი).

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	284,845	719,265
გადახდილი ავანსები	123,925	68,155
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	408,770	787,420

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	133,963	35,487
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	7,293,413	3,722,377
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	7,427,376	3,757,864

ფულის ნაშთი ბანკში კლასიფიცირდება როგორც ურისკო. ფულთან და ფულის ეკვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი წარმოდგენილია მე-18 შენიშვნაში.

15. სესხები

	31 დეკემბერი 2024				31 დეკემბერი 2023			
	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გრძელვადიანი ვალდებულება	მოკლევადიანი ვალდებულება	გრძელვადიანი ვალდებულება	მოკლევადიანი ვალდებულება
სესხი ფინანსური ინსტიტუტიდან	08/11/2023	09/03/2026	10.17%	აშშ დოლარი	685,773	3,204,075	4,474,980	3,304,365
					685,773	3,204,075	4,474,980	3,304,365

	2024	2023
1 იანვარი	7,779,345	-
ფულადი ნაკადები:		
ათვისება	-	12,150,000
დაფარვა	(4,088,590)	(4,314,818)
სესხის პროცენტის დაფარვა	(583,090)	(148,795)
არაფულადი ნაკადები:		
პერიოდში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	583,090	148,795
საკურსო სხვაობის ეფექტი	199,093	(55,837)
31 დეკემბერი	3,889,848	7,779,345

2023 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე კომპანია „იზი ჩარტერის“ წილი, რომლის მფლობელებიც არიან გიგიტელაშვილი ლაშა, გიგიტელაშვილი კახაბერი და შპს შპს იზი ჩარტერი (405123254 - დედა კომპანია), წარმოადგენს გირავნობის საგანს.

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტების მიმართ	362,308	723,309
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტების მიმართ	1,776,713	276,885
მიღებული ავანსები	832,550	-
სხვა	177	472
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,971,748	1,000,666

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი წარმოდგენილია მე-18 შენიშვნაში.

17. პირობითი ვალდებულებები, ხარჯები და საოპერაციო რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს, შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას, შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები, მათ შორის მფლობელ კომპანიაზე განხორციელებულ რეალიზაციაზე სატრანსფერო ფასწარმოქმნის საბაზრო ფასთან შესაბამისობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ სწორად იწარმოოს შიდა პოლიტიკა და პროცედურება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს:

- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და საფასურთან დაკავშირებულ რისკებს);
- ასევე საკრედიტო რისკებს, და
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა, ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ქვემოთ წარმოდგენილი კომპანიის ის ფინანსური აქტივები, რომელიც დაკავშირებული საკრედიტო რისკთან:

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საკრედიტო რისკი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	284,845	719,265
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,427,376	3,757,864
სულ	7,712,221	4,477,129

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება კომპანიის ღია სავალუტო პოზიციებთან მიმართებაში, რომელიც ექვემდებარება ბაზრის ზოგად და სპეციფიკურ მოძრაობებს. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილების გათვალისწინებით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია - ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად, კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ის ფინანსური აქტივები, რომლებიც დაკავშირებულია სავალუტო რისკებთან. ასევე, შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში. ასევე, შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

სავალუტო რისკი

	ფინანსური აქტივი	ფინანსური ვალდებულება	ნეტო პოზიცია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	7,404,111	5,613,815	1,790,296
ევრო	260,562	1,224,630	(964,068)
სულ	7,664,674	6,838,445	826,229

	ფინანსური აქტივი	ფინანსური ვალდებულება	ნეტო პოზიცია 2023 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	11,159,065	8,662,043	2,497,022
ევრო	40,237	412,869	(372,632)
სულ	11,199,302	9,074,912	2,124,390

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 15%-ით გამყარება	268,544	374,553
აშშ დოლარის 15%-ით გაუფასურება	(268,544)	(374,553)
ევროს 15 %-ით გამყარება	(144,610)	(55,895)
ევროს 15 %-ით გაუფასურება	144,610	55,895

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, რადგანაც კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები საკუთარ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2024 და 2023 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან, რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალოზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

	2024	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები		7,427,376	-	7,427,376
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		284,845	-	284,845
სულ ფინანსური აქტივები		7,712,221	-	7,712,221
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,139,198	-	2,139,198
სესხები		3,204,075	685,773	3,889,848
სულ ფინანსური ვალდებულებები		5,343,273	685,773	6,029,046
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია		2,368,948	(685,773)	1,683,175

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2023	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები		3,757,864	-	3,757,864
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		719,265	-	719,265
სულ ფინანსური აქტივები		4,477,129	-	4,477,129
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,000,666	-	1,000,666
სესხები		3,304,365	4,474,980	7,779,345
სულ ფინანსური ვალდებულებები		4,305,031	4,474,980	8,780,011
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია		172,098	(4,474,980)	(4,302,882)

19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა. აქედან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	284,845	284,845	719,265	719,265
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,427,376	7,427,376	3,757,864	3,757,864
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,139,198	2,139,198	1,000,666	1,000,666

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზედაც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

		2024	2023
		დაკავშირებულ მხარესთან	დაკავშირებულ მხარესთან
ურთიერთობის ტიპი	მხარესთან ნაშთები	ნაშთები	ნაშთები
რეალიზაციის თვითღირებულება	სხვა დაკავშირებული მხარე	2,922	1,710
ადმინისტრაციული ხარჯი	სხვა დაკავშირებული მხარე	652,876	367,025
		655,797	368,735

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები 2024 და 2023 წლების განმავლობაში წარმოდგენილია ქვემოთ:

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
		დაკავშირებულ მხარესთან	დაკავშირებულ მხარესთან
ურთიერთობის ტიპი	მხარესთან ნაშთები	ნაშთები	ნაშთები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარე	8,957	243

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება 2024 და 2023 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ხელფასები და სხვა სარგებელი	783,137	659,597

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2025 წლის 28 მაისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „იზი ჩარტერი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შპს ავიაკომპანია „იზი ჩარტერი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის



სარჩევი

1. ზოგადი მიმოხილვა.....	29
2. კომპანიის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა.....	29
<i>ძირითადი შემოსავლები</i>	
<i>კაპიტალური და მიმდინარე რემონტები</i>	
<i>ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები</i>	
<i>კომპანიის განვითარების გეგმები და კვლევებისა და განვითარების სფეროში</i>	
<i>ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა</i>	
3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	35

შპს „იზი ჩარტერი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი მიმოხილვა

შპს ავიაკომპანია „იზი ჩარტერი“ დაარსდა 2020 წლის 15 იანვარს, როგორც შეზღუდული პასუხისგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონის და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისში, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისში შემდეგი საიდენტიფიკაციო კოდით 405373171.

კომპანია ძირითადი საოპერაციო საქმიანობის მიზნებისთვის ფლობს ერთ საჰაერო ხომალდს და ახორციელებს ფრენებს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კლიენტებისთვის. კომპანია ახორციელებს მხოლოდ ტვირთის ტრანსპორტირებას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	2024	2020
შპს იზი ჩარტერი (ს/კ 405123254)	70%	70%
კახაბერ გიგითელაშვილი (პ/ნ 01010002188)	15%	15%
ლამა გიგითელაშვილი (პ/ნ 01007006224)	15%	15%
	100%	100%

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ლიცენზირებადია და რეგულირებადია; მასზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

პარტნიორთა კრება

პარტნიორთა კრება, როგორც წესი ტარდება წელიწადში ერთხელ.

დირექტორთა საბჭო

კომპანიის პარტნიორების უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, დანიშნულია ერთი დირექტორი, რომელიც ახორციელებს საწარმოს მიმდინარე ხელმძღვანელობას.

პერსონალი

საწარმოში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 45 თანამშრომელი, ყოველთვიური სახელფასო ფონდის ოდენობა საშუალოდ შეადგენს 400 000 (ოთხასიათასი ლარი) ლარს.

2. კომპანიის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

ძირითადი შემოსავლები

ავიაკომპანია „იზი ჩარტერს“ საკუთრებაში აქვს ერთი სატვირთო საჰაერო ხომალდი. თვითმფრინავით და ეკიპაჟით გაწეული მომსახურება საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობას და შემოსავლის ძირითად წყაროს.

კომპანიის თვითმფრინავის ტიპი და მოდელებია:

1. A300B4-605R (სახ. რეგ. #4L-UCK, საქარბ. #521)

თვითმფრინავი ბაზირებულია საქართველოში და რეისები ხორციელდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან, ასევე ავიაკომპანია ახორციელებს საერთაშორისო რეისებს მესამე ქვეყნებს შორის.

კომპანიის ოპერირების ძირითადი არეალია ევროპა, აზია, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკის კონტინენტი.

შპს „იზი ჩარტერი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ჩარტერული რეისების შესრულებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა **36,319,823** ლარს.

ავიაკომპანიის დამატებითი შემოსავლები:

კომპანია ასევე აქვს სხვადასხვა სახის შემოსავლები, მათ შორის რომელიც დაკავშირებულია საჰაერო ხომალდების მიწისზედა მომსახურებას (ჰენდლინგური მომსახურება) და დამატებითი სადაზღვევო პრემიებთან. მიმდინარე პერიოდში ამ მომსახურებებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა **1,306,926** ლარი.

კაპიტალური და მიმდინარე რემონტები

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკუთრებაში არსებულ საჰაერო ხომალდს, ძირითად აგრეგატებს და მათ მაკომპლექტორებს (ძრავები, დამხმარე ძალური დანადგარები, საბურავები, მუხრუჭები და ა.შ.) ესაჭიროებათ როგორც კაპიტალური, ასევე მიმდინარე რემონტი.

კერძოდ თვითმფრინავს (ფუჟელაჟი), ძრავებს და სხვა მაკომპლექტორებს გააჩნიათ საათობრივი, კალენდარული და ციკლური რესურსები, რომელთა მომსახურების ვადებს რემონტის შემდეგ ანიჭებს შესაბამისი ლიცენზირებული ქარხანა.

გამომდინარე იქედან რომ საქმიანობა არის მკაცრად რეგულირებადი, საჰაერო ხომალდების და მათი აგრეგატების დანიშნული საათობრივი ან კალენდარული რესურსის ამოწურვის შემთხვევაში, ფაქტიური მდგომარეობიდან გამომდინარე და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შეთანხმებული წესების, მწარმოებელი და სარემონტო ქარხნების რეგლამენტის გათვალისწინებით შესაძლებელია რემონტის განხორციელება. სრული რესურსის ამოწურვის შემთხვევაში ხდება მათი ჩამოწერა, რაც ასევე მკაცრად რეგლამენტირებულია და მათი შეფასება წარმოებს შესყიდვის გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქტივების რემონტის ხარჯების გაწევა კომპანიისათვის მნიშვნელოვანი დანახარჯებია.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში შემოსავალმა შეადგენდა **37,626,749** ლარი. შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებული თვითმფრინავით შესრულებული ჩარტერული რეისების მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს. დეტალები იხილეთ ავიაკომპანიის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით:

შპს „იზი ჩარტერი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2024	2023
ამონაგები	37,626,749	20,787,105
რეალიზაციის თვითღირებულება	-25,177,264	-19,352,525
საერთო მოგება	12,449,485	1,434,580
ადმინისტრაციული ხარჯები	-3,361,219	-3,066,670
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	-518,968	34,736
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	-164,282	-249,734
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	104,238	553,151
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	-5,880
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	1,968,644
მოგება დაბეგვარმდე	8,509,254	668,827
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის წმინდა მოგება	8,509,254	668,827
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	8,509,254	668,827

შპს „იზი ჩარტერი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31 December 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	32,747,735.00	29,941,072.00
სულ გრძელვადიანი აქტივები	32,747,735.00	29,941,072.00
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	683,848.00	156,607.00
საგადასახადო აქტივი	65,721.00	99,648.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	408,770.00	787,420.00
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,427,376.00	3,757,864.00
სულ მიმდინარე აქტივები	8,585,715.00	4,801,539.00
სულ აქტივები	41,333,450.00	34,742,611.00
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	34,471,854.00	25,962,600.00
სულ კაპიტალი	34,471,854.00	25,962,600.00
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	685,773.00	4,474,980.00
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	685,773.00	4,474,980.00
მიმდინარე ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	3,204,075.00	3,304,365.00
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,971,748.00	1,000,666.00
სულ მიმდინარე ვალდებულებები	6,175,823.00	4,305,031.00
სულ ვალდებულებები	6,861,596.00	8,780,011.00
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	41,333,450.00	34,742,611.00

საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებელი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.27	1.06
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.28	1.12

ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელი : 0,20

კონმანიის როგორც სწრაფი ლიკვიდურობის, ასევე მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2024 წლისთვის გაუმჯობესებულია წინა საანგარიშგებო წელთან მიმართებით. კომპანიის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი აღემატება ზოგადად

შპს „იზი ჩარტერი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მიღებულ მნიშვნელობას (დაახლოებით 2-ს და დაახლოებით 1-ს შესაბამისად). აღნიშნული კოეფიციენტები თითქმის ერთმანეთის ტოლია, რაც განპირობებულია იმით, რომ მარაგი პერიოდის ბოლოს არაარსებითია.

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	33 %	7 %
წმინდა მოგების მარჟა	23 %	3 %
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	15.60	4 %

* კომპანიამ 2023 წლის დასაწყისში აიღო სესხი თვითმფრინავის შესაძენად.

უკუგებამ გამოყენებულ კაპიტალზე მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდზე შეადგინა 24 %

2024 წლის ბოლოსათვის შპს იზი ჩარტერის აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა **32,747,735** ლარი.

კომპანიის განვითარების გეგმები და კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ავიაკომპანიად ჩამოყალიბებამდე, დამფუძნებელი (შპს იზი ჩარტერი 405123254) კომპანია ახორციელებდა სატვირთო საჰაერო გადაზიდვებს სხვადასხვა ნაქირავები თვითმფრინავებით, რამაც საშუალება მისცა შეერჩია მისი ბაზრისთვის საუკეთესო საჰაერო ხომალდი, ტვირთამწეობის, მოცულობის, ფრენის მანძილის მიხედვით.

ამ პროცესის გავლის შემდგომ ინვესტორებთან ერთად გადაწყდა საჰაერო ხომალდის შეძენა და ავიაკომპანიის დაფუძნება, რომელიც უკვე მისთვის მომზადებულ, კარგად შესწავლილ და ადაპტირებულ ბაზარზე გააგრძელებდა ფუნქციონირებას.

ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტმა მოახერხა ძირითად ადგილობრივ დამკვეთებთან კარგი საქმიანი ურთიერთობების დამყარება, რაც კომპანიის მიერ სტაბილურად მიწოდებული მაღალი ხარისხის მომსახურების შედეგი იყო.

2020 წლის სექტემბერში ავიაკომპანიამ დაასრულა ევროპის სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს სერთიფიცირების პროცესი (რომელსაც არაერთი თვე დასჭირდა), რამაც საშუალება მისცა ეფრინა ევროკავშირის ყველა ქვეყანაში, ამან სრულიად ახალი ბაზარი შექმნა კომპანიისთვის, სრულად განსხვავებული კლიენტებითა და საფასო პოლიტიკით.

კომპანიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა კლიენტების, შეთავაზებული სერვისების რაოდენობა, ფრენების არეალი. დაემატა ისეთი დამკვეთები, როგორიცაა მაგ. „Air Charter Service“, „Chapman-Freeborn“, „Maersk“, „DSV“, „Neo Aircharter“, „Dynami Aviation“, „DHL“, „ARAMEX“ და ა.შ.

ევროპის შემდგომ ავიაკომპანიამ დაასრულა აკრედიტაციები ისრაელში, თურქეთში და სხვა ქვეყნებში, რამაც საშუალება მისცა შეესრულებინა ისეთი რეისები როგორიცაა, სტამბული - თელავივი,

სტამბული-კიოლნი რომლის საბოლოო დამკვეთიც მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კომპანია „DHL“ და „UPS“.

ფრენების არეალში მნიშვნელოვანი წილი კვლავ დარჩა ე.წ. „ცხელ წერტილებს“, როგორცაა ავღანეთი, იემენი, ერაყი, ისრაელი, ლიბანი, აფრიკის კონტინენტი, თუმცა ავღანეთში საერთაშორისო სამშვიდობო მისიის დასრულების შემდგომ იქ მხოლოდ ისეთი ორგანიზაციები დარჩნენ, როგორცაა, გაერო, „ექიმები საზღვრებს გარეშე“, წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ორგანიზაცია. შესაბამისად შეიცვალა ტვირთის სახეობაც ავღანეთში (მხოლოდ ჰუმანიტარული ტვირთები) და საერთოდ შეწყვეტეთ იქედან ტვირთის გამოტანა, ვინაიდან ვერ ხერხდება გასაგზავნი ტვირთის ზუსტი კონტროლი. აღსანიშნავია, რომ სწორედ ჩვენ დავუდეთ საფუძველი ასეთ რეისებს ავღანეთში და დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ იმ მცირე რაოდენობის ავიაკომპანიათაგანი ვართ, რომელიც ევროპიდან დაფრინავს ავღანეთში (თბილისის გავლით). ეს მიმართულება, ჩვენი აზრით, კიდევ რამდენიმე წელი იქნება აქტუალური, თალიბანის მთავრობის აღიარების (ან მათ შეცვლამდე) და ავღანეთის ეკონომიკის ამუშავებამდე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისრაელის და ბეირუთის ფრენები. 2024 წლიდან დღემდე ისრაელიც და ლიბანი რჩება „ცხელ წერტილებად“. კომპანიამ მოახერხა და ორივე მხარის შესაბამის სტრუქტურებთან შეთანხმებით ასრულებდა/ასრულებს რეისებს თელავივისა და ბეირუთის მიმართულებით. აქტიურად მონაწილეობს ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირებაში ორივე ქვეყანაში, ისევე როგორც ეგვიპტის აეროპორტში ელ-არიში, რომელში ფრენის უფლებაც განსაკუთრებულ უნარებსა და პროცედურებს მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს რომ ავიაკომპანიამ წარმატებულად გაართვა თავი ცოცხალი საქონლის თვითმფრინავით ტრანსპორტირების შემცირებას, რომელიც 2020 წელს რისკებში იყო მოხსენიებული და 2021 წლის სექტემბრის შემდეგ არც ერთი ასეთი რეისი აღარ შეუსრულებია.

2022 წელს ავიაკომპანიამ წამრატებით დაასრულა „გაერთიანებული სამეფოს“ სამოქალაქო ავიაციის სერთიფიცირების პროცესი, რამაც კიდევ ერთი ძალიან დიდი ბაზარი, ახალი შესაძლებლობები გაუხსნა ჩვენს კომპანიას.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ტიპის საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციაში შეყვანა კომპანიისთვის ყოველთვის წარმოადგენს გარვეულ რისკსა და სირთულეებს, კომპანიამ მოახერხე 2023 წელს წარმატებით გაერთვა ზემოაღნიშნული გამოწვევისთვის თავი ახალი თვითმფრინავის გამყიდ

ველთანმვე (MNG Airlines) სველი იჯარის წესით დატოვებით გზით. ამ იჯარის ფორმა მოიცავს ყოველთვიური გარანტირებული ფრენა-საათების ანაზღაურებას გარკვეული პერიოდით (ჩვენს შემთხვევაში 2024 წლის 31 დეკემბრამდე შემდგომი 6 თვით გაგრძელების პერსპექტივით), რაც კომპანიას საშუალებას აძლევს სწორად დაგეგმოს როგორც შემოსავლები, ასევე სხვადასხვა ხაჯრები, სახელფასო ფონდი, ტექნიკური მომსახურებისთვის საჭირო რეზერვები და ა.შ.

გარდა ამისა, MNG Airlines-თან თანამშრომლობით კომპანიამ სრულიად უფასოდ მიიღო საფრენოსნო-ტექნიკური ეკიპაჟების გადასწავლების დასასრულებლად საჭირო პრაქტიკული კურსის

ინსტრუქტორები, სათადარიგო ნაწილების დიდ საწყობთან წვდომა და გამოცდილი სპეციალისტების ცოდნის გაზიარების საშუალება. მხოლოდ საფრენოსნო შემადგენლობის მწყობრში შეყვანის ხარჯები MNG Airlines-ის გარეშე, დაახლოებით 300.000,00 აშშ დოლარი იქნებოდა.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

აღნიშნული ტიპის საქმიანობის განსახორციელებლად ავიაკომპანია “იზი ჩარტერისთვის“ შესაძლებელია პრობლემატური გახდეს შემდეგი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით:

ევროპის საავიაციო ხელისუფლების მიერ საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდების ფრენების შეზღუდვა მათ ტერიტორიაზე, რაც ავტომატურად გამოიწვევს ბევრ არაევროპულ ქვეყანაში ჩვენი თვითმფრინავის ფრენის აკრძალვას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს კომპანიის ოპერირების არეალს. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული რისკები მხოლოდ დაშვებაა და მათი მოხდენის ალბათობა საკმაოდ მცირეა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მკაცრად აკონტროლებს საჰაერო ხომალდების საფრენად ვარგისიანობის და ფრენების უსაფრთხოების სტანდარტებს.

გასათვალისწინებელია პროფესიონალი კადრების ნაკლებობა ჩვენს ქვეყანაში. ვინაიდან ავიაკომპანია მკაცრად რეგულირებადი და სერტიფიცირებადი სფეროა, მომზადებული კადრების მოძიება და სამსახურში მიღება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამდენა კომპანიას უწევს უცხოელი სპეციალისტების დაქირავება სტუდენტების აყვანის და მომზადების პარალელურად.

მნიშვნელოვან გაურკვევლობად, რისკად რჩება მსოფლიოში მიმდინარე ე.წ. სავაჭრო ომები, რომლებმაც დიდი გავლენა იქონია მსოფლიო „მიწოდების ჯაჭვზე“ და სრულად დაარღვია იგი. ამჟამად მიმდინარეობს ახალი სისტემის მშენებლობის პროცესი, რომლის დასრულების ვადები და შედეგები გაურკვევლობად რჩება კომპანიისთვის.

კომპანიამ შეიძინა კიდევ ერთი ახალი თაობის საჰაერო ხომალდი, 2023 წლის ნოემბერში და გაყიდა ძველი თვითმფრინავი, 2024 წელს მისთვის საჭირო ინვესტიციების თავიდან ასაცილებლად და კრედიტის შესამცირებლად. თუმცა, ერთი თვითმფრინავის არსებობის პირობებში დიდ გამოწვევას რჩება დაუგეგმავი ხარვეზები თვითმფრინავის ექსპლუატაციაში. ნებისმიერი დეტალის გაფუჭების შემთხვევაში, რომელიც საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციას შეუძლებს ხდის, კომპანიას შეიძლება მოუწიოს უკვე დაასტურებული რეისების გაუქმება. კომპანია აქტიურად ეძებს კიდევ ერთ საჰაერო ხომალდს შესაძენად და დიდი ალბათობით 2025 წლის ბოლომდე შეიძენს მას.

კომპანიას გადაწყვეტილი აქვს მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში ქვეყნის შიგნით სუბსიდირებული სამგზავრო რეისების შესასრულებლად. მასში გამარჯვების შემთხვევაში „იზი ჩარტერს“ დაგეგმილი აქვს შეიძინოს ორი ტურბოპროპელსიანი DHC6-400 ტიპის კანადური თვითმფრინავი, რომლებიც უკვე მოძიებულია შვეიცარიაში და მიმდინარეობს მოლაპარაკება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გასაფორმებლად. ეს პროგრამა მნიშვნელოვნად გააფართოებს კომპანიის მიერ შეთავაზებული

შპს „იზი ჩარტერი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მომსახურების არეალს, ხელს შეუწყობს სერვისების და შემოსავლების დივერსიფიცირებას და შეამცირებს რისკებს სატვირთო ან სამგზავრო გადაყვანა-გადაზიდვის ბაზრის შემცირების ან თვითმფრინავის ტექნიკური პრობლემის შემთხვევაში შემოსავლების შესაძლო დაკარგვისა.

შპს ავიაკომპანია „იზი ჩარტერის“ 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 28 მაისს.

დირექტორი

რატი მერია

შპს „იზი ჩარტერი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მომსახურების არეალს, ხელს შეუწყობს სერვისების და შემოსავლების დივერსიფიცირებას და შეამცირებს რისკებს სატვირთო ან სამგზავრო გადაყვანა-გადაზიდვის ბაზრის შემცირების ან თვითმფრინავის ტექნიკური პრობლემის შემთხვევაში შემოსავლების შესაძლო დაკარგვისა.

შპს ავიაკომპანია „იზი ჩარტერის“ 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 28 მაისს.

დირექტორი

რატი ძერია

